

**სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის
2019 წლის წლიური ანგარიში**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

სამუსიკო კოლეჯის მისიაა პროფესიული სტუდენტების / მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის #114/ნ ბრძანებით დამტკიცებული ს ს ი პ – ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის წესდების თანახმად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ა) სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება;
- დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;
- ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება;
- ვ) ტრენინგურებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;
- ზ) სკოლისგარეშე სახელოვნებო (სამუსიკო) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- თ) ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან /დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;
- ი) გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

კოლეჯის ფუნქციაა:

- ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ბ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;
- გ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ე) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;
- ზ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;

თ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;

ი) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;

კ) ხელი შეუწყოს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;

ლ) განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა 50-წლიანი ისტორიის მქონე გორის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე, (საიდენტიფიკაციო კოდი 2018083302) ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 22 დეკემბერს, 6 წლის ვადით (გადაწყვეტილების N 49).

კოლეჯი ერთადერთი მონოპროფილური პროფესიული სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ახორციელებს მხოლოდ **სამუსიკო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2019 წლამდე ეს იყო საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

შემსრულებელ-ილუსტრატორი-080553,

ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერალი -080555 და

გუნდის ლოტბარი/რეგენტი-080554

2019 წლიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ამ 3 საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება შეწყდა და სწავლა მიღევად რეჟიმში გადავიდა. 2021 წლის დეკემბრამდე დასრულდება ბოლო, ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის საგნობრივი პროფესიული პროგრამა.

პარალელურად, 2015 წლიდან, კოლეჯის პედაგოგები, კონსერვატორიის პროფესორებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობდნენ სამუსიკო მიმართულების მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში. შეიქმნა რამდენიმე საინტერესო პროგრამა, თუმცა, მათგან დამტკიცებული დღეისთვის მხოლოდ ორია-პიანისტი-აკომპანიატორი და მუსიკის რეპეტიტორი.

2019 წელს, ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე, გადაწყდა იმ ორი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და პიანისტ-აკომპანიატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რომელთა სტანდარტებიც იყო შემუშავებული და დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მოვახდინეთ პროგრამებისა და მოდულების არსებული რეკომენდაციების შესაბამისად ადაპტირება, მოვიძიეთ საგანმანათლებლო რესურსები, გაფორმდა მემორანდუმები ჩვენ მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებთან. „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონსა“ და 2019 წელს დამტკიცებულ კოლეჯის ახალ წესდებასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მოდულური პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები შევიდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესებში. შეირჩა ადამიანური და მატერიალური რესურსი. თითოეულ მოდულურ პროგრამაზე ერთ მიღებაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა რვა სტუდენტით. ჯამში, სწავლების სრული პერიოდის მანძილზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 32-ს მუსიკის რეპეტიტორისა და 48-ს პიანისტ-აკომპანიატორის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის #176 გადაწყვეტილებით გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს მიენიჭა

აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება. კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 133-ით.

2019 წლის შემოდგომაზე პირველად განხორციელდა მიღება ახალ, მოდულურ პროგრამებზე. მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 8-8 ერთეულით.

მუსიკის რეპეტიტორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირდა 7 აპლიკანტი, შემოქმედებითი ტური და პროფესიული ტესტირება გადალახა და ჩაირიცხა კოლეჯში 6.

პიანისტ-აკომპანიატორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირდა 2 აპლიკანტი, რომლებიც არ გამოცხადდნენ შემოქმედებით ტურზე.

2017 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში წარმატებით ხორციელდება პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა, რომელშიც საჯარო სკოლების მე-8-12 კლასის მოსწავლეები არიან ჩართულნი. სამუსიკო კოლეჯის პროფესიული პროგრამების სტრუქტურა, წინაპირობები, სამუსიკო განათლების სპეციფიკა და ხანგრძლივობა არ გვაძლევს შესაძლებლობას ჩავერთოთ აღნიშნულ პროგრამაში, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს. ამიტომ სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობის, სამუსიკო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის შემდეგი გზა გვაქვს მოძებნილი:

ჯერ კიდევ საზოგადოებრივ კოლეჯად რეორგანიზაციამდე, 2009 წელს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯში დავიწყეთ პროფესიულ პროგრამებთან ერთად სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ეს პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სამინისტროს მიერ 2009 წელსვე დაფუძნებული სამუსიკო თერთმეტწლედების პროგრამებთან და სასწავლო გეგმასთან. კოლეჯის მასწავლებლები რეგიონის სამუსიკო სკოლებში ატარებენ მასტერკლასებს, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტებს, ეძებენ ნიჭიერ ბავშვებს. მოზარდები შიდა ქართლის ყველა რაიონიდან წარმატებით ეუფლებიან ჩვენთან სამუსიკო განათლებას, რაც ერთგვარად ავსებს იმ წყვეტილობას, რომელიც ამჟამად არსებობს სამუსიკო სკოლების დაწყებით საფეხურსა და პროფესიულ ან საბაკალავრო სამუსიკო პროგრამებს შორის და რაც ასე უარყოფითად აისახება კონტინგენტზე. ეს პროგრამები კოლეჯის სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტი და კოლეჯის კონტინგენტის შევსების წყაროცაა (კურსდამთავრებულთაგან მარტო გასულ და მიმდინარე წელს 4 ჩაირიცხა ჩვენს კოლეჯში, სამი-თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში).

მიუხედავად კონტინგენტის სიმცირისა, კოლეჯის მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები, მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობენ რეგიონსა და ქვეყანაში გამართულ ღონისძიებებში. ოქტომბერში გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში გაიმართა კოლეჯის პედაგოგის, დიანა როსტომაშვილის შემოქმედებითი საღამო(ვოკალი), კონცერტში მონაწილეობდნენ სამუსიკო კოლეჯის პედაგოგები: ლალი ჯავახიშვილი, ლელა ანთია, თამაზ აბრამიძე. კოლეჯის კურსდამთავრებულები: გიორგი მოციქულაშვილი, ვანო მურადელი, დავით და იოსებ დარბაიძეები, კოლეჯის პროფესიული პროგრამის „ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი“ სტუდენტი ნათია ზაზაძე და კოლეჯის გოგონათა გუნდი ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით.

ნოემბერში სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კოლეჯის მასწავლებლის შორენა მჭედლიშვილის კლასის კონცერტი(ვიოლინო, კამერული ანსამბლი).

სასწავლო სემესტრის ბოლოს, დეკემბერში, ჩატარდა სტუდენტთა და მოსწავლეთა აკადემიური კონცერტი.

განსაკუთრებით წარმატებულია კოლეჯის გოგონათა გუნდი ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არაერთი კონკურსის გრან-პრის, ოქროს მედლისა და სპეციალური პრიზების მფლობელია. გუნდი სისტემატურად მონაწილეობს კლასიკურ საგუნდო ფესტივალებსა თუ სატელევიზიო მეგა-შოუებში, „X ფაქტორი,“ „საქართველოს ვარსკვლავი,“ „რანინა“, მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებსა და აქციებში. ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, უნგრეთის საელჩოების

მიერ მოწყობილ ერთობლივ ღონისძიებებში. ნაყოფიერად თანამშრომლობს საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან, არის გენიალური ქართველი კომპოზიტორის-გია ყანჩელის რამდენიმე მასშტაბური ქმნილების პირველი შემსრულებელი საქართველოში. სწორედ ჩვენ გუნდს მიუძღვნა ბატონმა გიამ თავისი ერთ-ერთი ბოლო, მასშტაბური თხზულება „დედა ენა“ გოგონათა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

2020 წლის 14 თებერვალს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, პირველად საქართველოში, გაიმართა „წლის საუკეთესო დირექტორის“ დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდა სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი

კოლეჯში სათანადო ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ დარგში მიმდინარე ტენდენციების, ტექნოლოგიების და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მუდმივ განახლებას, რაც მოიცავს პროფესიული სიახლეების გაცნობას, დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაციას და დარგის განვითარების ტენდენციების შესწავლას. ამ მიზნით კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან. წლების განმავლობაში ჩატარდა არაერთი ტრენინგი ჩვენი პედაგოგებისათვის. კონსერვატორიის პროფესორები: შალვა მოსიძე, რუსუდან წურწუშია, ავთანდილ რევიშვილი წლების განმავლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ჩვენთან. კონსერვატორიის პროფესორებისა და ჩვენი მასწავლებლების ერთობლივი მუშაობის შედეგია ის პროფესიული პროგრამებიც, რომლებიც დღეს კოლეჯში ხორციელდება. მიმდინარეობდა მუშაობა უმაღლეს, პროფესიულ და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამუსიკო დისციპლინების სწავლების მოდერნიზებაზე, რაც განსაკუთრებით საინტერესო იყო კოლეჯში მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის, რადგან პროგრამის შექმნისას ხდებოდა სამუსიკო დისციპლინების ინტეგრირებული სწავლების ევროპული გამოცდილების გაზიარება. 2019 წლის ნოემბერში კოლეჯში შიდა ქართლის სამუსიკო სკოლებისა და კოლეჯის მასწავლებლებისათვის ჩატარდა მასტერკლასები აღნიშნული კურიკულუმის განვითარების და სრულყოფის მიზნით.

კოლეჯის შესაძლებლობები: დღეისათვის ჩვენი კოლეჯი ერთადერთი პროფესიული სასწავლებელია, რომელიც ახორციელებს **სამუსიკო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ამჟამად კოლეჯის ხარისხის სამსახური მონაწილეობს ხარისხის ცენტრის მიერ ამ პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ოპტიმიზირების პროცესში. ახალ სტანდარტში კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არის მოყვანილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ასევე დოკუმენტი გასწორებულია მეთოდოლოგიურადაც. ოპტიმიზირებული სტანდარტის დამტკიცების შემდეგ ვგეგმავთ, შეიქმნას მომზადება/გადამზადების პროგრამები.

ბაზრის კვლევისას, დამსაქმებლებთან შეხვედრისას, ვრწმუნდებით, რომ რეგიონებში მზარდი მოთხოვნა სამუსიკო სკოლისგარეშე, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიონალ კადრებზე, დღეს ამ სფეროში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა საპენსიო ასაკს არის გადაცილებული, ახალი კადრების მომზადება კი ჩვენი კოლეჯის გარდა არსად არ ხდება, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, ახალი პროგრამების არსებობის შემთხვევაში, დაიმატოს ისინი სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა დაწყებითი სამუსიკო სკოლის მასწავლებლებზე, რომელთა მომზადებასაც 2009 წლამდე წარმატებით უზრუნველყოფდა პროფესიული სამუსიკო სასწავლებლები, რისი უფლებაც, სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯს აღარ გააჩნია მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში სწავლის ყველა მსურველს, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად მიღებული აქვს საკმაოდ საფუძვლიანი და ხანგრძლივი, 6, 9 ან 11 წლიანი სამუსიკო განათლება.

კოლეჯის ძირითადი გამოწვევა: მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა, პროფესიული განათლების დიდი მხარდაჭერის მიმართულებით, მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა სტრატეგიული პროექტებისათვის: საქართველოს მთავრობის კულტურის სტრატეგიაში, კულტურის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიულ გეგმაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის სახელოვნებო პროფესიული განათლების სისტემის საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფას სახელოვნებო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, ამ სფეროში, ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემების არსებობის გამო, ფერხდება შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოების განახლება და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. მიუხედავად წლების განმავლობაში მრავალი კომისიის შექმნისა და მუშაობისა, სამუსიკო განათლების ერთიანი კონცეფცია და სტანდარტი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შემუშავებული, აქედან არის პრობლემები სამუსიკო განათლების ფორმალური განათლების ჩარჩოში მოქცევისა და, შესაბამისად ახალი, ბაზრისთვის საინტერესო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა-დამტკიცების კუთხით.

კოლეჯი გეგმავს, კვლავაც აქტიურად გამოიყენოს დამსაქმებელთა ინტერესი და მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ მასწავლებლებთან, რაც ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის, კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის სამუსიკო ხელოვნების სფეროს წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფა. ამ მიზნით კვლავაც ვგეგმავთ თანამშრომლობას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების არსებობის პარალელურად ხდება ხარისხის ახალი სტანდარტების განვითარება კოლეჯის შიგნით და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასებისა და გამოკითხვის პროცესის სრულყოფა.

კოლეჯის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია გორის სამუსიკო კოლეჯისათვის შიდა ქართლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაბრუნებული ფუნქციების გამყარება (რეგიონში გასვლითი კონცერტების მოწყობა, კოლეჯის სტუდენტთა საშემსრულებლო პრაქტიკის ორგანიზება და კონცერტებისა და საღამოების მოწყობაში დახმარების გაწევა). ნიჭიერი მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენა და მათ პროფორინტაციასა და შემდგომ კარიერაზე ზრუნვა; დაწყებითი რგოლის სამუსიკო საგანმანათლებლო და ფართოპროფილიან დაწესებულებებთან ტრადიციული შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობის კოორდინირება და ხელშეწყობა .

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს **ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან.**

მატერიალური-ტექნიკური ბაზის შევსება ახალი ტექნიკური აღჭურვილობით;

კოლეჯის შენობის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება: აუდიტორიების კარების შეცვლა თანამედროვე დიზაინის, ხმაგაუმტარი მასალის კარებით, ინტერიერის კოსმეტიკური რემონტი, ფასადის განახლება, ეზოს კეთილმოწყობა;

კლავიშებიანი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების მოწესრიგება;

სამინისტროს დახმარებით ახალი საკონცერტო როიალის შეძენა;

კოლეჯის ტექნიკური აღჭურვილობის სისტემატური შევსება და განახლება;

ხმის ჩამწერი აპარატურის განახლება;

მეორე სართულზე შშმ პირთათვის სწავლისა და გადაადგილების პირობების შექმნის შესაძლებლობების მოძიება და განხორციელება: კოლეჯს აქვს არასტანდარტული (მრგვალი) კიბე, რომელიც არ იძლევა რაიმე სახის პანდუსის დამონტაჟების საშუალებას.

გასულ წელს მოხდა კომპიუტერული აღჭურვილობის ნაწილობრივი განახლება, სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ საჩუქრად გადმოგვეცა 12 ახალი კომპიუტერი. ამჟამად განაცხადი გვაქვს გაკეთებული 78 ერთადგილიან, თანამედროვე მერხზე. 2020 წლისათვის მოვიპოვეთ პროგრამული დაფინანსება სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის შეძენა-დამონტაჟებისათვის, პროექტორის, ახალი ასლგადამღების შესაძენად, მუსიკალური ინსტრუმენტების მცირე სარემონტო სამუშაოებისათვის.

2019 წლიდან კოლეჯი ჩაერთო eFlow-ს სისტემაში, კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე შესაძლებელია WI-FI ინტერნეტით სარგებლობა

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა პერსპექტივაში მიზნად ისახავს მის განვითარებას, სწავლისა და შრომის, შემოქმედებითი საქმიანობის თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას, პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაზე ზრუნვას.

!